ხელშეკრულება № -/01
წევრის მგვ ორგანიზაციაში გაწევრიანების და შესაბამისი უფლება-ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ ზეთის მოდული
(ძირითადი ნაწილი)

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში ,,ხელშეკრულება“) დადებულ იქნა ქ. თბილისში ***2026 წლის 01 იანვარს*** შემდეგ მხარეთა შორის:

ერთი მხრივ **აიპ** „*ნარჩენების მართვის ბიზნეს ასოციაცია“ (ს/კ 405528727)* შემდგომში **„ასოციაცია“** წარმოდგენილი თავისი აღმასრულებელი დირექტორის ივანე მთვრალაშვილის (პ/ნ 01026004089) სახით და მეორე მხრივ ---------- (შემდგომში „წევრი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- (პ/ნ ----------) სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება ის უფლება-ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობილია **„ასოციაცია“-სა და "წევრს"** შორის**, "ასოციაციის"** წესდების და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს **"ასოციაციის"** წესდების განუყოფელ ნაწილს და წესდებასთან ერთად განსაზღვრავს იმ უფლება-ვალდებულებებს, რომელიც **ასოციაციას და წევრს** გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ და რომელიც გამომდინარეობს/წარმოშობილია წევრის, როგორც ასოციაციის წევრობიდან და შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობებიდან.

1.2 წინამდებარე ხელშკრულების საფუძველზე წევრი ანიჭებს უფლებამოსილებას ასოციაციას და თავის მხრივ, ასოციაცია ადასტურებს თანხმობას წევრის სახელით განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

1. უზრუნველყოს, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად, წევრის მიერ ბაზარზე განათავსებული ზეთების ნარჩენებთან დაკავშირებით მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევა;
2. დაგეგმოს და განახორციელოს ნარჩენი ზეთების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავებისათვის გადაცემა კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;
3. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიაწოდოს, წინა პუნქტების მოთხოვნების შესრულების შემოწმებისათვის აუცილებელი ინფორმაცია;
4. ასოციაციამ მოახდინოს წევრის მიერ ბაზარზე განთავსებული ზეთების შესახებ ანგარიშგება მგვ რეესტრში, კანონმდებლობის შესაბამისად;

2. ხელშეკრულების სტრუქტურა

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგება ძირითადი (წინამდებარე დოკუმენტი) და ზოგადი ნაწილისაგან, დანართებისაგან, **ასოციაციის** მიერ გამოცემული წესებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების არსებით და განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულების ზოგადი ნაწილი შედგენილი და დამტკიცებულია ასოციაციის მიერ, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის არსებით და შემადგენელ ნაწილს. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის **წევრი** სრულად არის გაცნობილი ხელშეკრულების ზოგადი ნაწილის შინაარს და მის დანართებს, ეთანხმება და იწონებს მას;

2.2 ხელშეკრულების დოკუმენტების მუხლებს შორის კოლიზიის შემთხვევაში პირველ რიგში უპირატესობა ენიჭება დანართებს, შემდგომ ძირითად ნაწილს, ხოლო შემდგომ ზოგად ნაწილს;

2.3 ხელშეკრულების ზოგადი ნაწილი, ასევე დანართები და წესები განთავსებულია ასოციაციის ვებ-გვერდზე https://wmba.com.ge/;

3. ხელშეკრულების ვადა და ცვლილებების შეტანა

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **წევრის,** როგორც „ასოციაციის" ანუ ააიპ „ნარჩენების მართვის ბიზნეს ასოციაციის" - წევრის უფლებამოსილების შეწყვეტამდე;

3.2 **ასოციაცია** უფლებამოსილია ცალმხრივად შეიტანოს ცვლილება ხელშეკრულების ზოგად ნაწილში და დანართებში ასევე გამოსცეს წესები, რომელიც კავშირშია წინამდებარე ხელშეკრულებასთან. ასოციაციის მიერ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების ზოგადი ნაწილით;

3.3 ასოციაცია ცვლილებების განხორციელებამდე 1 თვით ადრე აცნობოს "წევრს" განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ და ასევე ასახოს აღნიშნული ცვლილებები, მის ვებ გვერდზე (https://wmba.com.ge/) განთავსებულ დოკუმენტებში;

3.4 წევრისათვის ცვლილებების თაობაზე შეტყობინების გაგზავნა ხდება ცვლილებების "წევრის" ელ.ფოსტაზე გაგზავნით, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მეორე დღეს. ცვლილებების შესახებ შეტყობინება უნდა იყოს დასაბუთებული და მითითებული უნდა იყოს კონკრეტული საფუძველი, რაც განაპირობებს ხელშეკრულების პირობების ცვლილება;

3.5 იმ შემთხვევაში თუ "წევრი" არ ეთანხმება მოსალოდნელ ცვლილებებს ან ახალ პირობებს, იგი უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში უარი განაცხადოს ცვლილებების მის მიმართ ამოქმედებაზე. "წევრის" მიერ აღნიშნული უფლების გამოყენების შემთხვევაში, "ასოციაცია" უფლებამოსილია შეწყვიტოს "წევრთან" წინამდებარე ხელშეკრულება, რაც წარმოდგენს "წევრის" "ასოციაციიდან" გასვლის/გარიცხვის საფუძველს. ასეთ შემთხვევაში "წევრი" ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებები "ასოციაციის" წინაშე.

3.6 იმ შემთხვევაში, თუ "წევრი" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ განაცხადებს პრეტენზიას ცვლილებების თაობაზე ისინი ავტომატურად ამოქმედდება მის მიმართ შეტყობინების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში;

3.7 ხელშეკრულების შესაწყვეტის განზრახულობის შესახებ ხელშეკრულების შემწყვეტმა მხარემ მეორე მხარეს 7 დღით ადრე უნდა აცნობოს წერილობითი ფორმით.

3.8 წევრს შეუძლია შეწყვიტოს მგვ ორგანიზაციის წევრობა მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, ურთიერთანგარიშსწორების შემდეგ.

4. ზოგადი დებულებები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად;

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული წევრის საკონტაქტო რეკვიზიტები, მათ შორის ელექტრონული ფოსტა მიიჩნევა მის მისამართად. ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება, მისი გაგზავნიდან მეორე დღეს მიიჩნევა წევრის მიერ ჩაბარებულად.

4.3 ხელშეკრულებას/დოკუმენტს, რომელიც განთავსებულია ელექტრონულ მატარებელზე მხარეები ანიჭებენ იგივე იურიდიულ ძალას, რაც გააჩნია მატერიალური ფორმით არსებულ დოკუმენტს. ელექტრონულ მატარებელზე არსებულ დოკუმენტზე ხელმოწერა შეიძლება განხორციელდეს, როგორც ელექტრონულად (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით) ასევე სხვა საშუალებებითაც;

ასოციაცია	**წევრი**
„მგვ ორგანიზაცია/შემსრულებელი ***ა(ა)იპ „ნარჩენების მართვის ბიზნეს ასოციაცია“*** *ს/კ* 405528727 მისამართი: ქ თბილისი, ერედვის ქუჩა 28ა ბანკის რეკვიზიტები: თიბისი ბანკი ანგ. №GE47TB7989736030100001 აღმასრულებელი დირექტორი: ივანე მთვრალაშვილი	*მწარმოებელი/წევრი* **შპს** ---------- ს/კ: ---------- მისამართი: ---------- ელ-ფოსტა: ---------- დირექტორი: ---------- ----------